პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 92 (5901)
1977 წ.
12 მაისი.
ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## წარმატება ბაქოში

ამას წინათ ბაქოში გაიმართა მოსკოვის, აზერბაიჯანის, მოლდავეთისა და საქართველოს მოჭადრაკეთა ახალგაზრდული გუნდების (თითოეულ კოლექტივში 5 ჭაბუკი და 3 გოგონაა) ოთხიანი ტურნირი, რომელიც დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს მიეძღვნა.

საქართველოს ნაკრებმა (ჭაბუკები — ოსტატი ზ. სტურუა, ოსტატობის კანდიდატები ს. ლპუტიანი, ი. ეფიმოვი, ზ. აზმაიფარაშვილი, თ. ხანთაძე, გოგონები — ოსტატი ნ. იოსელიანი, ოსტატობის კანდიდატები ნ. ჩხაიძე, ლ. თანდაშვილი) I წრეში სძლია აზერბაიჯანის გუნდს — 4,5:3,5, ყაიმით (4:4) დაამთავრა შეხვედრები მოლდაველ და მოსკოველ თანატოლებთან. II წრეში საქართველოს წარგზავნილებმა ყველა მატჩი მოიგეს: აზერბაიჯანთან — 7:1, მოლდავეთთან და მოსკოვთან ერთნაირი ანგარიშით — 5:3.

ამრიგად, I ადგილი დაიკავეს ჩვენი რესპუბლიკის მოჭადრაკეებმა — 29,5 ქულა 48-დან. შემდეგ მოდიან: მოსკოვი — 25, აზერბაიჯანი — 21, მოლდავეთი — 20,5.

საქართველოს ნაკრებიდან წარმატებით ითამაშეს თავიანთ დაფებზე: პირველზე — სტურუამ (I ადგილი, 4 ქულა), მესამეზე — ეფიმოვმა (I-II. 3,5), მეოთხეზე — აზმაიფარაშვილმა (I-II. 3,5), მეხუთეზე — თ. ხანთაძემ (I. 4,5), მეექვსეზე — იოსელიანმა (I. 4), მეშვიდეზე — ჩხაიძემ (I. 5). ლპუტიანმა 3 ქულა მოაგროვა, თანდაშვილმა — 2. აღსანიშნავია, რომ შეჯიბრების აბსოლუტური საუკეთესო შედეგი აქვს ჩხაიძეს, ხოლო ხანთაძემ ჭაბუკთა შორის ყველაზე მეტი ქულა დააგროვა.

**ო. ალხანიშვილი,**
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

### ჭადრაკი

„კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე

## გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა

გუშინ თბილისში, ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა პიონერთა სასახლეების IV საკავშირო გუნდური პირველობა.

დასკვნითს, V ტურში ყურადღების ცენტრში იყო ლენინგრადელებისა და თბილისელთა კაპიტნების მ. ტაიმანოვისა და ნ. გაფრინდაშვილის სეანსები. ტაიმანოვმა ხუთი პარტია მოიგო და ორი ყაიმით დაამთავრა (ზ. აზმაიფარაშვილთან, ა. წულაძესთან). დიდოსტატმა ქალმა ორი პარტია მოიგო, სამი წააგო და ორ მეტოქეს დაუზავდა. შეხვედრა მოიგეს ლენინგრადელებმა — 10:4.

კემეროვო — კიევის მატჩში გაიმარჯვეს კემეროვოელებმა — 10:4. მათმა კაპიტანმა ვ. ცეშკოვსკიმ „მშრალი“ ანგარიშით (7:0) დაამთავრა სეანსი. კიეველთა გუნდისთავმა დ. ბრონშტეინმა მხოლოდ 4 ქულა აიღო.

სვერდლოვსკისა და მოსკოვის ნორჩმა მოჭადრაკეებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ერთმანეთის კაპიტნებს. ე. ვასიუკოვმა (მოსკოვი) ოთხი პარტია მოიგო, ორი წააგო და ერთი ყაიმით დაასრულა. მისმა სვერდლოვსკელმა კოლეგამ ე. სვეშნიკოვმა ხუთი პარტია მოიგო და ორი წააგო. 7,5:6,5 — ასეთი ანგარიშით გაიმარჯვეს სვერდლოვსკელებმა.

ამრიგად, გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზი მოიპოვა ლენინგრადის პიონერთა სასახლის გუნდმა — 43 ქულა. სხვათა შორის, გუნდის კაპიტანმა ტაიმანოვმაც I ადგილი დაიკავა სეანსიორებს შორის. მან 30 ქულა მოაგროვა ოცდათხუთმეტ პარტიაში.

II ადგილზეა კემეროვო — 35,5, III — მოსკოვი — 33, IV — თბილისი — 31,5, V — სვერდლოვსკი 31, VI — კიევი — 28.

**თ. ნინოშვილი.**

### ხელბურთი

სსრ კავშირის XVI ჩემპიონატი

●

თბილისი. სპორტის სასახლე. 10 მაისი.

●

## შესვენების შემდეგ...

„კუნცევო“ (მოსკოვი) — „გრანიტასი“ (კაუნასი) 29:17 (14:10).

მსაჯები: ა. ვიტოლსი და ა. კიზილიუსი (ორივე — რიგა).

საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) — ცსკა 27:29 (13:16).

მსაჯები: კ. სკინდერისი (კაუნასი) და თ. ჩხარტიშვილი (თბილისი).

„ბურევესტნიკი“ (თბილისი) — ინდუსტრიული ინსტიტუტი (ზაპოროჟიე) 24:22 (12:16).

მსაჯები: ა. ვიტოლსი და ი. კიზილიუსი.

„ბურევესტნიკი“: ზარამიძე, კომახიძე, ანპილოგოვი (გაიტანა 8 გოლი), გ. ნარიმანიძე (5), გ. ბერიაშვილი, ტაბიძე (4-1), დოლიძე (2), გ. ბერიაშვილი (1), ი. ნარიმანიძე.

ინდუსტრიული ინსტიტუტი: პარტიანკო, შიპენკო, სარჟევსკი (9), ჟარიკი (7), რეზანოვი, სტეპენი (2-2), პლახოტინი, გორიაჩიხი (თითო გოლი), სპექტოროვი, კურგუზიკოვი, კუზნირიუკი, ვინოგრადოვი.

მან, ვინც ბრინჯაოს მედლების მაძიებლების — თბილისის „ბურევესტნიკისა“ და ზაპოროჟიეს ინდუსტრიული ინსტიტუტის ხელბურთელთა მატჩს არ დასწრებია, ჭეშმარიტად წარმტაცი, უშეღავათო ბრძოლა ვერ ნახა.

თქმა იმისა, რომ მატჩის პირველ ნახევარში მასპინძელთა დაცვა სუსტად თამაშობდა, ცოტა იქნება. სწორედ უსუსური დაცვა იყო მიზეზი, რომ თბილისელთა ვერც ერთმა მეკარემ ვერა და ვერ აუღო ალღო სტუმართა სწრაფ იერიშებს და ბუნებრივია, ამ უკანასკნელთა ნატყორცნი ბურთებიც თითქმის ყოველთვის აღწევდა მიზანს. თბილისელებს განსაკუთრებით გაუჭირდათ სტუმართა ორი თავდამსხმელის ჟარიკისა და სარჟევსკის უვნებელყოფა. საკმარისია ითქვას, რომ პირველ ტაიმში მასპინძელთა კარში გასული 16 გოლიდან 7 სარჟევსკის ეკუთვნის, 5 — ჟარიკს. იყო მომენტი, როცა „ბურევესტნიკი“ მატჩს 6 გოლის სხვაობით აგებდა (7:13). და მაინც, ტაიმის დასასრულისთვის მასპინძლებმა შეძლეს სხვაობა ერთგვარად შეემცირებინათ.

ჩვენ არ ვიცით შესვენების დროს რა უთხრა თავის ბიჭებს „ბურევესტნიკის“ მწვრთნელმა ი. ფხაკაძემ, მაგრამ ის ცხადია, რომ დამრიგებელმა მართლაც კარგად გამოიყენა ეს რამდენიმე წუთი. ამას ისიც ადასტურებს, რომ მთელი მეორე ტაიმის მანძილზე მასპინძელთა როგორც ტექნიკური, ისე ტაქტიკური უპირატესობა აშკარა იყო. გუნდი უფრო მონოლითური და მობილიზებული ჩანდა. დაცვის ხაზში უკვე ძალიან იშვიათად ირღვეოდა სათამაშო დისციპლინა, უფრო შედეგიანი გახდა იერიშები. რაც მთავარია, მეკარე ა. კომახიძემ საუცხოოდ ჩაატარა მატჩის ეს მონაკვეთი. მისმა თავდადებულმა და ოსტატურმა თამაშმა არანაკლები სტიმული მისცა თანაგუნდელებს, რომლებმაც ამჯერად ხელ-ფეხი შეუკრეს ზაპოროჟიელთა ყველაზე ძლიერ მოთამაშეებს ჟარიკსაც და სარჟევსკისაც. ერთი სიტყვით, მეორე ტაიმში მასპინძლებმა შემტევი სტილით, ლამაზად, ლაღად ითამაშეს და, რაც მთავარია, გამარჯვების ტოლფასი მობილიზების უნარი გამოავლინეს. თბილისელებმა ამ მოგებით კიდევ უფრო გაიუმჯობესეს მდგომარეობა სატურნირო ცხრილში და კიდევ უფრო ნაკლები მანძილი დარჩათ გადასალახავი ბრინჯაოს მედლებისკენ მიმავალ გზაზე.

**ჯ. ენუქიძე.**

## ტელეტაიპის ლენტიდან

**მშვიდობის** საერთაშორისო ტრადიციული მრავალდღიანი ველორბოლის მესამე — 167-კილომეტრიან ეტაპზე ყველაზე სწრაფი გამოდგა ვ. მორავეცი (ჩეხოსლოვაკია). მან ლოძიდან ტორუნიმდე მისვლას 3 საათი, 36 წუთი და 24 წამი მოანდომა. II ადგილზეა ი. ზაიცევი (ლვოვი) — 3:36.34, მესამეზე — ვ. ჩაპლიგინი (კურსკი) — 3:36.44. ფინიშამდე 200 მეტრი რომ დარჩა, ტარტუელი სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. პიკუუსი დაეცა, მაგრამ ლიდერის მაისურს მაინც ინარჩუნებს.

ლიდერობს საბჭოთა გუნდიც.

**კუნძულ** გვადელუპაზე გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაში კვლავ გამოირჩეოდა კუბელი სპრინტერი ს. ლეონარდი, რომელმაც აქ ოლიმპიურ ჩემპიონ ჰ. კროუფორდთან პირისპირ ბრძოლაში 100 მეტრი 9,9 წამში გაირბინა და თავის სპორტულ კარიერაში მსოფლიო რეკორდი მეორედ გაიმეორა.

**კიოლნში** ჩატარებულ მძლეოსანთა ასპარეზობაში სტარტზე წლეულს პირველად გამოვიდა მონრეალის ოლიმპიადის ჩემპიონი 100 მეტრზე რბენაში ა. რიხტერი და საუცხოო სპორტული მომზადება გამოავლინა: 100 მეტრის გარბენას 11,0 წამი მოანდომა, ხოლო 200 მეტრისას — 22,8. ორივე ეს შედეგი წლეულს მსოფლიოში საუკეთესოა ქალთა შორის.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 28 | 23 | 2 | 3 | 786—603 | 48 |
| საავ. ინსტ. | 28 | 23 | 1 | 4 | 737—676 | 47 |
| „ბურევესტ“. | 28 | 17 | 1 | 10 | 611—595 | 35 |
| „კუნცევო“ | 28 | 14 | 5 | 9 | 606—574 | 33 |
| ინდ. ინსტ. | 28 | 14 | 4 | 10 | 673—614 | 32 |
| „გრანიტ“. | 28 | 7 | 6 | 15 | 640—702 | 20 |

## გუშინ...

...თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა ხელბურთელ ვაჟთა უმაღლესი ლიგის გუნდების XVI საკავშირო ჩემპიონატის ფინალური ექვსეულის დასკვნითი ტურნირის მეორე დღის მატჩები. გთავაზობთ შედეგებს: ინდუსტრიული ინსტიტუტი — ცსკა 21:22 (12:9), „გრანიტასი“ — საავიაციო ინსტიტუტი 31:33 (19:16), „ბურევესტნიკისა“ და „კუნცევოს“ თამაში გვიან საღამოს დამთავრდა.

●

სურათებზე: ქვევით — თბილისის „ბურევესტნიკის“ მოთამაშე ა. ტაბიძე უტევს ზაპოროჟიეს ინდუსტრიული ინსტიტუტის გუნდის კარს; ზევით — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდის წევრი ვ. ილინი ბურთს ტყორცნის არმიელთა კოლექტივის კარისკენ.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

●

ზაპოროჟიეში დასასრულს უახლოვდება უმაღლესი ლიგის ქალთა გუნდების მეორე წრის დასკვნითი ტურნირი. გთავაზობთ შედეგებს: 9 მაისი. „ბურევესტნიკი“ (ალმა-ათა) — „დინამო“ (კიშინიოვი) 23:27, ურალის პოლიტექნიკური ინსტიტუტი (სვერდლოვსკი) — „მეტალურგი“ (ბროვარი) 21:14, „ცვეტმეტი“ (კრასნოიარსკი) — „ჟალგირისი“ (კაუნასი) 12:24, „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) — „სპარტაკი“ (ბაქო) 18:17, „ლუჩი“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (კიევი) 15:26, ინდუსტრიული ინსტიტუტი (ზაპოროჟიე) — „კოლოსი“ (ბერეგოვო) 13:9; 10 მაისი. „როსტსელმაში“ — „სპარტაკი“ (კიევი) 15:24, „ჟალგირისი“ — „ბურევესტნიკი“ 23:13, „დინამო“ — უპი 18:22, „კოლოსი“ — „ცვეტმეტი“ 20:10, „მეტალურგი“ — „ლუჩი“ 11:24.

### ძალოსნობა

## ექვსი მსოფლიო, ორი საკავშირო...

დონის როსტოვში დამთავრდა ძალოსანთა საკავშირო ჩემპიონატი.

პირველ ქვემძიმე წონაში ჩემპიონი გახდა გროზნოელი ა. საიდულაევი — 375 კგ. II ადგილზე გავიდა კრასნოკამსკელი ა. სირჩინი — 370, მესამეზე — კიეველი ს. პოლტორაცკი — 362,5.

მეორე ქვემძიმე წონაში ჩემპიონობა მოიპოვა ხოლმსკელმა ა. კოზლოვმა — 387,5 კგ. ატაცში (175 კგ) მან მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ვერცხლის მედალი ერგო ტაშკენტელ გ. მალიარს — 375 კგ. ბრინჯაოს ჯილდო ასეთივე შედეგით ხაბაროვსკელმა ი. ნიკიტინმა დაიმსახურა.

პირველ მძიმე წონაში გაიმარჯვა ბროვარელმა გ. კუზნიჩენკომ — 385 კგ. ასეთივე შედეგით მეორე იყო ნიკოლაეველი მ. შამანოვსკი, ხოლო მესამე — მინსკელი ლ. ტარანენკო — 377,5 კგ.

მეორე მძიმე წონაში მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი ვ. ალექსეევი არ გამოდიოდა. გაიმარჯვა ორჯონიკიძელმა ა. ენალდიევმა, რომელმაც 415 კგ. აწია. მას 17,5 კილოგრამით ჩამორჩა სმოლენსკელი გ. ოკოროკოვი, ხოლო ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭა ალმაათელმა ა. ჩაპაიკინმა — 395 კგ.

ამრიგად, როსტოვის ფიცარნაგზე ექვსი მსოფლიო და ორი საკავშირო რეკორდი დამყარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სოფლის სპორტი: პრობლემები, პერსპექტივები

# ენთუზიასტ მოსწავლეთა თაოსნობით

**ვერასოდეს** დაავიწყდებათ მაისის პირველი დღე აბაშის რაიონის სოფელ მაიდნის ახალგაზრდებს. ამ დღეს სოფლის ცენტრში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ღია სპორტული კომპლექსი, რომელიც აქაური კოლმეურნე ქალიშვილებისა და ჭაბუკების, საშუალო სკოლის მოსწავლეთა ჯანმრთელობის, ფიზიკური წრთობისა და სრულყოფის სამსახურში ჩადგა.

სპორტული კომპლექსი — ფეხბურთის სტადიონი, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, სახტომი ორმო, სარბენი ბილიკები და სხვა, ძირითადად სოფლის საშუალო სკოლის უფროსკლასელთა თაოსნობით გაკეთდა. მოსწავლე ენთუზიასტებს სათავეში ედგა ფიზკულტურის მასწავლებელი რ. ლაბარტყავა.

კომპლექსის გახსნის დღეს სოფლის კლუბში და სტადიონზე დიდი სპორტული ზეიმი გაიმართა. მოეწყო შეჯიბრებები მეზობელი სოფლების საშუალო სკოლების მოსწავლეებთან და კოლმეურნე ახალგაზრდობასთან ფეხბურთში, ფრენბურთსა და კალათბურთში.

აღსანიშნავია ისიც, რომ მაიდნელი ახალგაზრდები ამ დღეებში კიდევ ერთ ძვირფას საჩუქარს მიიღებენ, — მწყობრში ჩადგება ღია საცურაო აუზი.

უდავოა, რომ ახალი ბაზები ხელს შეუწყობს სოფელში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებას, მშდ კომპლექსის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე დანერგვას.

**რ. ჯანგველაძე,**
**აბაშის რაიონის სოფელ მაიდნის საშუალო სკოლის დირექტორი.**

# ხელვაჩაურელთა ავ-კარგი

**დღევანდელ** წერილში ხელვაჩაურის რაიონის სპორტულ ბაზებზე გვექნება საუბარი.

სოფელ ანგისაში „კოლმეურნის" რაიონული საბჭოს სპორტული ბაზები ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რაც აუცილებელია სპორტულ-მასობრივ ღონისძიებათა სათანადოდ ჩატარებისთვის. მართალია, სპორტული დარბაზი ააშენეს, სადაც ძალოსნობისა და ჭიდაობის მოყვარულები ვარჯიშობენ, მაგრამ ფეხბურთის მინდორი, ფრენბურთისა და ხელბურთის მოედნები უვარგისია. უფრო მეტიც, არა აქვთ დახურული დარბაზი, სადაც შეიძლება კალათბურთში, ფრენბურთში, ან მაგიდის ჩოგბურთში შეჯიბრებების ჩატარება.

მიუტევებლად ფერხდება სპორტდარბაზის მშენებლობა. კეთილმოწყობას მოითხოვს მშვილდოსნობის სასროლეთი.

ცუდი მდგომარეობაა ცალკეულ ფიზკულტურულ კოლექტივებშიც. დაბა მახინჯაურში, მაგალითად, არც ფეხბურთის მინდორი აქვთ, არც სპორტული დარბაზი. არადა, კოლმეურნეობაში 500-მდე ფიზკულტურელი ირიცხება. გარდა ამისა, აქ არის დასასვენებელი სახლები, სადაც ერთდროულად ათასობით ადამიანი ატარებს შვებულებას.

ახლა ახალშენის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაშიც შევიხედოთ. აქ 1956 წელს დაწყებული ფეხბურთის სტადიონის მშენებლობა კვლავინდებურად ჭიანურდება.

სპორტული მოედნების მხრივ არასახარბიელო მდგომარეობაა მახოს, თხილნარის, აჭარისწყლის, ჩხუტუნეთის, ქედქედის, ჭარნალის კოლმეურნეობებში. არც საბჭოთა მეურნეობებშია უკეთ საქმე. სამწუხაროდ, ზოგან შტატით მომუშავე ფიზკულტურის მეთოდისტებიც კი არა ჰყავთ. ასეა, მაგალითად, აჭარისწყლის კოლმეურნეობასა და მახვილაურის საბჭოთა მეურნეობაში. ანალოგიური მდგომარეობაა ხელვაჩაურის რაიკოოპერატივშიც. ზოგან კი ფიზკულტურის მეთოდისტებად არასპეციალისტები მუშაობენ. მაგალითად, ურეხის კოლმეურნეობაში მეთოდისტის მოვალეობას კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ასრულებს.

სანაქებო, კეთილმოწყობილი სპორტული მოედანი აქვთ ჩაისუბნელ სპორტის მოყვარულებს.

ახლო მომავალში რაიონის სპორტის მოყვარულებს დიდი საჩუქარი ელით: შემუშავებულია პროექტი და ანგისაში დაიწყება სპორტული კომპლექსის მშენებლობა. გათვალისწინებულია ფრენბურთისა და ბადმინტონის მოედნების, ღია ჩოგბურთის კორტების, საცურაო აუზის, ფეხბურთის მინდვრის, ძალოსნობის დარბაზისა და მშვილდოსნობის სასროლეთის აგება. ასე რომ, ხელვაჩაურელთა სპორტული კომპლექსი ერთ-ერთი საუკეთესო იქნება მთელს რესპუბლიკაში.

მიუხედავად ამისა, ყოველივე ზემოთქმული საკმარისი არ არის. საჭიროა ფიზკულტურულმა კოლექტივებმა, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა ხელმძღვანელებმა საქმიანი ნაბიჯები გადადგან არსებული ბაზების კეთილმოსაწყობად.

**ნ. დევიძე.**

ხელვაჩაური.

„ირმის ნახტომი".

მ. თათარიშვილის ფოტოეტიუდი.

## განახლებულ სტადიონზე

**განვლილი** დღესასწაულის წინ, 7 მაისს, დიდი გამოცოცხლება სუფევდა ხობის განახლებულ, რეკონსტრუირებულ სტადიონზე: აქ ადგილობრივ „კოლხეთთან" სათამაშოდ ჩამოვიდა თბილისის „დინამოს" ვეტერან ფეხბურთელთა გუნდი.

სტუმრებმა მასპინძლებს მიულოცეს განახლებული ბაზის მწყობრში ჩადგომა და უსურვეს ახალი წარმატებები. შემდეგ გაიმართა მატჩი, რომელიც მიმდინარეობდა საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში და დამთავრდა ფრედ — 0:0.

●

## მომავალ ზოოტექნიკოსთა წარმატება

სოხუმში მიმდინარეობდა სოფლის მეურნეობის საკავშირო სამინისტროს სისტემის უმაღლესი სასწავლებლების ფეხბურთელთა გუნდების ზონალური შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აზერბაიჯანის ზოოტექნიკურ-სავეტერინარო, ერევნის სასოფლო-სამეურნეო, ერევნის ზოოტექნიკურ-სავეტერინარო, სოხუმის სუბტროპიკული კულტურების, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და თბილისის ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტების გუნდებმა.

მომავალმა თბილისელმა ზოოტექნიკოსებმა (მწვრთნელი ე. გუგუშვილი) კარგად ჩაატარეს გათამაშება, დაიკავეს I ადგილი და უფლება მოიპოვეს განაგრძონ ბრძოლა საკავშირო ასპარეზზე.

## მოედანი აღდგენილია

ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული იყო კრიტიკული წერილი იმის შესახებ, რომ ქარელის რაიონის სოფ. აბანოს 8-წლიანი სკოლის საფეხბურთო მოედანი დირექციამ გააუქმა და საცდელი ნაკვეთის გაფართოების მიზნით გადახნა იგი.

გაზეთში გამოქვეყნებული წერილის შემდეგ ნორჩ სპორტსმენებს კვლავ შეექმნათ ვარჯიშისა და შეჯიბრებათა ჩატარების საშუალება. როგორც ქარელის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ა. ტაბატაძე გვატყობინებს, სოფ. აბანოს 8-წლიანი სკოლის საფეხბურთო მოედანი აღდგენილია.

# თუ მსაჯი მსაჯად არ ვარგა

### ანუ

### ერთი შეჯიბრების არბიტრთა ხარვეზები, რომლებიც „შეუიარაღებელი თვალითაც" კარგად ჩანდა

ასპარეზობაში, რომლის შესახებაც დღეს გესაუბრებით, არც ოლიმპიური მედლები გათამაშებულა და არც მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინი ელოდა ვინმეს. მაგრამ მოდით, ვიყოთ ოპტიმისტები და ვიწინასწარმეტყველოთ — ვინ იცის, იქნებ სწორედ ამ შეჯიბრებაში გამოდიოდა ის ნორჩი სპორტსმენი, რომელიც მომავალში ზემოთხსენებულ უმაღლესი რანგის ტურნირებში ისახელებს თავს?

მაგრამ, თუ ყველა ადგილობრივი შეჯიბრება ოდნავ მაინც დაემსგავსება ჩვენი დღევანდელი წერილის საგანს, გვერწმუნეთ, ამას მხოლოდ და მხოლოდ სავალალო შედეგები მოჰყვება და დღესდღეობით აღმავლობის გზაზე მდგარი ქართული სპორტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანი — მხატვრული ტანვარჯიში — კვლავ ჩრდილში მოექცევა.

დიახ, ლაპარაკია სპორტის ერთ-ერთ ულამაზეს სახეობაზე — მხატვრულ ტანვარჯიშზე, რომელსაც ჩვენთვის ტკბილად მოსაგონარ წარსულში, „ნელი სალაძის ხანად" წოდებულ პერიოდში, საკავშირო სარბიელზე ერთ-ერთი მოწინავე ადგილი ეკავა. მერე კი მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა... და აი, ახლა, როცა ხანგრძლივი წარუმატებლობის შემდეგ, კვლავ გამოკრთა იმედის ნაპერწკალი, განსაკუთრებით საჭიროა საქმისადმი მეტი სიყვარული, ცოდნა და გულისყური გამოვიჩინოთ. ეს, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა, ქართული მხატვრული ტანვარჯიშის მესვეურთ ეხება.

შესავალი, ცოტა არ იყოს, გაგვიგრძელდა. იგი შეიძლება პრეტენზიულადაც მოეჩვენოს ვინმეს, მით უმეტეს, რომ ამ წერილში საუბარი არ გვექნება იმ მრავალ ხელშემშლელ მიზეზზე (ბაზებითა და სრულფასოვანი მწვრთნელებით დაწყებული, დამთავრებული აკომპანიატორებითა და ელემენტარული სპორტული სამოსით), რაც დღეს უდავოდ აფერხებს მხატვრული ტანვარჯიშის განვითარებას ჩვენთან (ეს საპასუხისმგებლო მისია ამავე სახეობის სპეციალისტთათვის მიგვინდვია).

საქმე ეხება ერთ პატარა რიგით შეჯიბრებას — მოსწავლეთა საქალაქო პირველობას.

27 აპრილს თბილისის კალინინის რაიონის სპორტსკოლის შესანიშნავმა დარბაზმა სტუმართმოყვრულად გაუღო კარი დედაქალაქის 44 ნორჩ სპორტსმენს. ასპარეზობაში, რომელიც ოთხ დღეს გაგრძელდა, მონაწილეობდნენ მხატვრული ტანვარჯიშისა და აკრობატიკის სკოლის, პიონერთა სასახლისა და კალინინის რაიონის სპორტსკოლის კოლექტივები. პირველ ორ დღეს სარბიელი დაეთმოთ თანრიგოსნებს, ხოლო მომდევნო ორ დღეს — ოსტატობის კანდიდატებსა და ოსტატებს.

საერთოდ, ასპარეზობა მნიშვნელოვანი ხარვეზებით ჩატარდა (მხედველობაში გვაქვს მსაჯობა), მაგრამ ამჯერად შევჩერდებით მხოლოდ პირველი ორი დღის შეჯიბრებებზე, როცა სარბიელზე გამოდიოდნენ ნორჩი სპორტსმენები (საშუალო ასაკი — 12 წელი). რაც მთავარია, ზოგიერთისთვის ეს ტურნირი დებიუტიც გახლდათ დიდ სპორტში.

პირველი უხერხულობა ჯერ კიდევ შეჯიბრების დაწყებამდე ვიგრძენით: ასპარეზობის მთავარი მსაჯის მოვალეობას ასრულებდა... ერთ-ერთი მონაწილე გუნდის მწვრთნელი. თუმცა, ამ ფაქტისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიგვინიჭებია, ვინაიდან ვიცით, რომ დღესდღეობით რესპუბლიკაში მხატვრული ტანვარჯიშის კვალიფიციური მსაჯები ძალიან ცოტა გვყავს. და ასეთ ვითარებაში შეიძლება თვალიც დახუჭო შეჯიბრების დებულების მსგავს დარღვევაზე.

დაიწყო ასპარეზობა და თანდათან გამოიკვეთა სურათი: იმის ნაცვლად, რომ მჭიდრო კავშირი დამყარებულიყო შემფასებელ მსაჯებსა (ისინი რვანი იყვნენ, ოთხ ბრიგადად დაყოფილნი) და მონაწილეთა შორის, მოხდა პირიქით — სპორტსმენი გოგონები, რომლებიც ყოველ გამოსვლაში მთელ ენერგიასა და მონდომებას აქსოვდნენ, ცალკე აღმოჩნდნენ გარიყული. მსაჯებს აინუნშიც არ მოსდიოდათ პატარების თავგამოდება (შეჯიბრების მონაწილეებს, რა თქმა უნდა, ნაკლიც ბევრი ჰქონდათ) და თითქოს წინასწარ შერჩეული „არშინით" უზომავდნენ ქულებს ბედის ანაბარა მიტოვებულ, სპორტში ახალფეხადგმულ ბავშვებს.

ბუნებრივია, ამ ამბავმა სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია მაყურებლებში, განსაკუთრებით მწვრთნელთა და გუნდების წარმომადგენელთა შორის. ჩვენ, სამწუხაროდ, ასეთი ფაქტის მოწმეც გავხდით: ერთ-ერთი გუნდის წარმომადგენელმა მიიჩნია, რომ მის აღსაზრდელს ქულა დააკლეს და პროტესტით მიმართა ბრიგადის ერთ-ერთ მსაჯს (მასვე მიუთითა მეწყვილე მსაჯის უფრო მეტ არაობიექტურობაზე). ამ პროტესტზე მსაჯმა თავი იმართლა, — თვალის ჩაკვრა ვერ მოვასწარიო. ახლა ძნელია ითქვას, დათქმული ნიშნების მიცემისას რა ჰქონდათ წინასწარ დაგეგმილი მსაჯებს — ქულების პატიოსნად დარიცხვა, თუ წამატება ან დაკლება, მაგრამ ერთი რამ ცხადია: თუ კონკრეტულ შემთხვევაში ვერ მოასწრეს ჩანაფიქრის განხორციელება, უნდა ვივარაუდოთ, რომ სხვა დროს თავისუფლად ახერხებდნენ ამას და აღწევდნენ კიდეც „სასურველ შედეგს". დაგვეთანხმებით, მსაჯობის არცთუ მაინცდამაინც პატიოსანი მეთოდი აურჩევიათ ზოგიერთებს.

საოცარ გულგრილობას იჩენდა ხშირად ზოგიერთი მსაჯი, როცა არც კი ადევნებდა თვალს მასზე გაპიროვნებული სპორტსმენის გამოსვლას — ან საუბრით იყო გართული, ან უმისამართოდ ათვალიერებდა დარბაზს. ქულები კი, ის პირველი ქულები, რომელთაც ნორჩი სპორტსმენები თვეობით მოუთმენლად ელოდნენ, მაინც იწერებოდა. საიდან? რა საფუძველზე?

გაკვირვებას იწვევს შემდეგი გარემოებაც: მაყურებელთა არაერთი პროტესტის მიუხედავად, ოთხივე ბრიგადის თითქმის რვავე მსაჯი შესაშური გულმოდგინებით მალავდა „გამოანგარიშებულ" ქულებს. ბუნებრივია, მხოლოდ მთავარ მსაჯსა და სამდივნოს წევრებს ეძლეოდათ შეჯიბრების მიმდინარეობის ზუსტად აღრიცხვის საშუალება. თუმცა, როგორც ოქმების შემოწმებისას გამოირკვა, ორგანიზატორებს არც ეს საქმე ჰქონდათ მოწესრიგებული და, ვინ იცის, რამდენი ნორჩი ტანმოვარჯიშე დაუმსახურებლად გულნატკენი დარჩა.

ასევე გულნატკენმა და იმედგაცრუებულმა დატოვა დარბაზი ზოგიერთმა 10-12 წლის ტანმოვარჯიშემ, რომელთაც ასპარეზობის საკმაოდ ნაუცბათევი და უფერული „საზეიმო" დახურვის შემდეგ ვერ მოისმინეს ცნობა მათთვის თანრიგების მინიჭების შესახებ...

მკითხველებსა და განსაკუთრებით მხატვრული ტანვარჯიშის მესვეურებს ვთხოვთ სწორად გაგვიგონ: ჩვენ შეგნებულად ავუარეთ გვერდი შეჯიბრების სპორტულ მხარეს, გარკვეული მოსაზრებით არც ტექნიკურ შედეგებს ვაქვეყნებთ. და, თუ ამჯერად ყურადღება მხოლოდ მსაჯთა მუშაობის ხარვეზებზე გავამახვილეთ, ეს გამოწვეულია საერთოდ ამ სფეროში შექმნილი საგანგაშო ვითარებით. ნუთუ კიდევ ახსნა-განმარტება სჭირდება იმას, რომ მსაჯთა ყოველი არაობიექტური ნაბიჯი ზიანს აყენებს და აფერხებს მხატვრული ტანვარჯიშის შემდგომ განვითარებას საქართველოში? ჯერ ერთი, ამგვარი არბიტრები და შეჯიბრების ორგანიზატორები ერთი ხელის მოსმით წყალში ყრიან მწვრთნელთა და სპორტსმენთა მრავალთვიან გარჯა-ჯაფას. რაც მთავარია, მათი უგულისყურობისა და სახელდახელო შეფასების წყალობით მცდარი წარმოდგენა იქმნება ცალკეულ სპორტსმენთა შესაძლებლობებზე (რესპუბლიკის ნაკრების შემადგენლობაც ხომ ამ შედეგების მიხედვით ზუსტდება?) და სწორედ ამიტომ ზოგჯერ ისე ვერ წარვდგებით ხოლმე საკავშირო სარბიელზე, როგორც ეს ქართულ მხატვრულ ტანვარჯიშს ეკადრება.

და ბოლოს, ერთი ინციდენტის შესახებ: ჩვენთან საუბარში ერთ-ერთმა მწვრთნელმა ტაქტს მოკლებული, საკმაოდ დაჯერებული ტონით განაცხადა: როგორ შეიძლება წერილი დაწეროთ მხატვრული ტანვარჯიშის შესახებ, როცა ამ საქმის სპეციალისტი არა ხართო? ჩვენ, რა თქმა უნდა, ვეთანხმებით ამ სიტყვების ავტორს და არც პრეტენზიას ვაცხადებთ მხატვრული ტანვარჯიშის სპეციალისტობაზე, მაგრამ განა დიდი ცოდნა და სპეციალისტის თვალია საჭირო იმის აღსაწერად, რაც იმ შეჯიბრებაზე ასე აშკარად, „შეუიარაღებელი თვალითაც" ჩანდა?

**ბ. გოგოლაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი '77

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები.

### I ჯგუფი

☐ ასკ (თბილისი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 0:2. მსაჯი გ. ხეფიაშვილი (სამტრედია).

სტუმრებმა საუკეთესოდ ჩაატარეს მთელი მატჩი და ორი უპასუხო გოლიც გაიტანეს (არსენიძე, გ. ბოჭორიშვილი).

☐ „იბერია“ (საჩხერე) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 2:0. მსაჯი ნ. წურქავა (ფოთი).

ოჩამჩირელთა კარში ორივე ბურთი მეორე ტაიმში გაიტანეს აუშტროვმა და აბრამიშვილმა.

☐ „სქური“ (წალენჯიხა) — „მზიური“ (გალი) 0:1. მსაჯი ნ. შავიშვილი (ბათუმი).

☐ „დურუჯი“ (ყვარელი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 1:0. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).

ყვარლელებმა გაიმარჯვეს ნერსეზაშვილის მიერ გატანილი ბურთის მეოხებით.

☐ „კოლხეთი“ (ფოთი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 0:0. მსაჯი ლ. ღონღაძე (თბილისი).

☐ „ქართლი“ (გორის რაიონი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 1:1. მსაჯი ა. მჭედლიძე (თბილისი).

☐ „იმერეთი“ (წულუკიძე) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 0:1. მსაჯი ზ. კოლუაშვილი (გაგრა).

☐ „ეგრისი“ (ცხაკაია) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 1:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

მატჩის ბედი გადაწყვიტა ცხაკაიელი კოკაიას მიერ მე-20 წუთზე გატანილმა ბურთმა. სტუმრები ბევრს ეცადნენ ეხსნათ ქულა, მაგრამ ვერ მიაღწიეს მიზანს.

☐ „ივერია“ (ხაშური) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 0:0. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

☐ „განთიადი“ (თბილისი) — „ნადიკვარი“ (თელავი) 0:0. მსაჯი თ. ფანიაშვილი (თბილისი).

☐ „მერცხალი“ (მახარაძე) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 3:0. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).

მახარაძელმა ფეხბურთელებმა კარგად ჩაატარეს მატჩის მეორე ნახევარი და სამივე ბურთიც მაშინ გაიტანეს. ანგარიში გახსნა მეავანაძემ, ხოლო შემდეგ ხავთასმა ორჯერ ზედიზედ აიღო მეტოქის კარი.

☐ „მზიური“ (გალი) — „ივერია“ (საჩხერე) 2:0. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).

საჩხერელთა კარში ბურთები გაიტანეს ოსტროვსკიმ და გუგუჩიამ.

☐ „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „კოლხეთი“ (ხობი) 1:1. მსაჯი გ. პოლოხიანი (სოხუმი).

☐ „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 2:0. მსაჯი ტ. ნიშნიანიძე (ქუთაისი).

მასპინძლები თამაშობდნენ მონდომებით, კოლექტიურად და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს. „დურუჯის“ კარი ორივეჯერ ქოჩაევმა აიღო.

☐ „ქართლი“ (გორის რაიონი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 0:1. მსაჯი ლ. ღონღაძე (თბილისი).

☐ ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 1:2. მსაჯი თ. ფანიაშვილი (თბილისი).

☐ „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „იმერეთი“ (წულუკიძე) 1:1. მსაჯი ა. მჭედლიძე (თბილისი).

პირველ წარმატებას მიაღწიეს წულუკიძელებმა (ჭანკვეტაძე). ეს გოლი მაღრაძემ გაქვითა 11-მეტრიანი დარტყმით.

☐ „მეტალურგი“ (რუსთავი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 3:0. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

მასპინძლებს სრული უპირატესობა ჰქონდათ მთელი მატჩის მსვლელობაში. გუნდი ჯერ კაულაშვილმა და ტაბატაძემ დააწინაურეს, ხოლო ბოლქვაძემ საბოლოოდ დააგვირგვინა დიდი ანგარიშით გამარჯვება.

☐ „მეშახტე“ (ტყიბული) — „ივერია“ (ხაშური) 4:0. მსაჯი ზ. თოდაძე (ქუთაისი).

ქარქაშაძის მიერ გატანილი 3 გოლის შემდეგ მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო. სტუმართა კარი მეოთხედ აიღო გუმბერიძემ.

☐ „ნადიკვარი“ (თელავი) — ასკ (თბილისი) 0:0. მსაჯი გ. ხეფიაშვილი (სამტრედია).

☐ „ამირანი“ (ოჩამჩირე) — „მერცხალი“ (მახარაძე) 1:1. მსაჯი ნ. წურქავა (ფოთი).

ანგარიში გახსნა მახარაძელმა აფხაზავამ. საპასუხო ბურთი გაიტანა ქანთარიამ.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 12 მაისისთვის

| | თ | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მზიური“ | 12 | 9 | 3 | 0 | 16—3 | 21 |
| „იბერია“ ს. | 13 | 6 | 5 | 2 | 14—9 | 17 |
| „სპარტაკი“ | 11 | 7 | 2 | 2 | 15—5 | 16 |
| „მეტალურ.“ რ. | 13 | 5 | 5 | 3 | 15—10 | 15 |
| „დურუჯი“ | 12 | 6 | 3 | 3 | 15—12 | 15 |
| პოლ. ინსტ. | 12 | 5 | 4 | 3 | 22—13 | 14 |
| „ნადიკვარი“ | 11 | 5 | 4 | 2 | 15—8 | 14 |
| „კოლხეთი“ ფ. | 12 | 4 | 6 | 2 | 15—13 | 14 |
| „მაღაროელი“ | 12 | 3 | 7 | 2 | 13—8 | 13 |
| „სქური“ | 12 | 6 | 1 | 5 | 10—12 | 13 |
| „მერცხალი“ | 11 | 4 | 4 | 3 | 15—6 | 12 |
| „მეშახტე“ | 12 | 4 | 4 | 4 | 12—12 | 12 |
| „მეტალურ.“ ზ. | 12 | 4 | 3 | 5 | 19—20 | 11 |
| „სალხინო“ | 10 | 4 | 2 | 4 | 12—13 | 10 |
| „ეგრისი“ | 12 | 3 | 3 | 6 | 12—16 | 9 |
| „ამირანი“ | 12 | 3 | 3 | 6 | 12—19 | 9 |
| „კოლხეთი“ ხ. | 12 | 2 | 4 | 6 | 10—15 | 8 |
| ასკ თბ. | 9 | 1 | 5 | 3 | 7—9 | 7 |
| „განთიადი“ | 9 | 1 | 5 | 3 | 3—7 | 7 |
| ფიზკ. ინსტ. | 10 | 2 | 3 | 5 | 10—15 | 7 |
| „ივერია“ ხ. | 12 | 2 | 3 | 7 | 8—23 | 7 |
| „ქართლი“ | 10 | 2 | 2 | 6 | 7—13 | 6 |
| „იმერეთი“ | 12 | 1 | 4 | 7 | 9—24 | 6 |

### II ჯგუფი

#### I ზონა

„ალაზანი“ (გურჯაანი) — „განთიადი“ (კასპი) 3:3, „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „გარეჯი“ (საგარეჯო) 2:1, „მესხეთი“ (ახალციხე) — „მადნეული“ (ბოლნისი) 2:2, „სამცხე“ (აწყური) — „ვარძია“ (ასპინძა) 1:2, „განახლება“ (ადიგენი) — „თრიალეთი“ (წალკა) 5:3, „იბერია“ (ქარელი) — „აბული“ (ახალქალაქი) 4:0, „ჩამომსხმელი“ (ბორჯომი) — „არაგვი“ (დუშეთი) 6:1, „არაგვი“ (მცხეთა) — „ცისკარი“ (სიღნაღი) 4:0.

#### II ზონა

„ნაკადული“ (ჩხოროწყუ) — ხდკ (სამტრედია) 3:3, „სამგურალი“ (წყალტუბო) — „ავტომობილისტი“ (ბათუმი) 2:1, „მშენებელი“ (ჭიათურა) — „შახტიორი“ (ტყვარჩელი) 1:0, „ოჯალეში“ (ბანძა) — „მექალალდე“ (ზუგდიდი) 0:1, „შუქურა“ (ქობულეთი) — „გიგანტი“ (ლაითური) 2:0, „სულორი“ (ვანი) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 3:0, „ტორპედო“ (გაგრა) — „ენერგეტიკოსი“ (თერჯოლა) 2:1.

განვლილ მატჩებში მინდვრიდან გააძევეს ორი ფეხბურთელი: გორელი დ. შუბითიძე და ხობელი ვ. გოცირიძე.

გაფრთხილებები მიიღეს შემდეგმა მოთამაშეებმა: ა. დვალიშვილმა („მეტალურგი“, რუსთავი), ა. ზანინმა („ეგრისი“, ცხაკაია), ა. ქურტანიძემ („ივერია“, ხაშური), ტ. ჯავახაძემ (ასკ, თბილისი), ს. კოკაიამ („ეგრისი“, ცხაკაია), ჭ. ჭანკვეტაძემ („იმერეთი“, წულუკიძე), ა. მესხმა („მაღაროელი“, ჭიათურა), ც. კაჭარავამ („კოლხეთი“, ხობი).

**საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.**

## II ლიგა

10 მაისს შედგა II ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის შეხვედრები. ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ:

### „დინამო“ (ზუგდიდი) — „არაზი“ (ნახიჩევანი) 3:0

პირველი ორმხრივი იერიშების შემდეგ უპირატესობას თანდათან დაეუფლნენ მასპინძლები, რომელთა თავდამსხმელებიც სულ უფრო ხშირად ჩნდებოდნენ „არაზის“ საჯარიმო მოედანზე. რამდენიმე გამოუყენებელი მომენტის შემდეგ, მე-15 წუთზე ანტოსიევმა კარგად შეარჩია ადგილი საჯარიმო დარტყმისთვის და ანგარიში გახსნა. პირველ წარმატებას ახალი შეტევები მოჰყვა. სტუმრები გაძლიერებული ძალებით იცავდნენ კარს, მაგრამ 35-ე წუთზე იმავე ანტოსიანმა ზუსტად ითამაშა თავით და ნახიჩევანელთა კარის ბადეში მეორე ბურთი აღმოჩნდა. ტაიმის დასასრულს რამდენიმე კონტრშეტევა „არაზმაც“ განახორციელა. ზუგდიდელთა მეკარე ლეჟავას ძალზე სახიფათო ბურთის აღება მოუხდა ალიევისგან.

შესვენების შემდეგ სტუმრების მეკარესთან პირისპირ გასული ლოგუა უხეშად წააქციეს მცველებმა, რისთვისაც ნახიჩევანელთა კარში პენალტი დაინიშნა. იგი ზუსტად გამოიყენა ნაჭყებიამ და ზუგდიდის „დინამომ“ ზედიზედ მეხუთე გამარჯვება ჩაიწერა მიმდინარე გათამაშების ცხრილში.

**ბ. ალშიბაია.**

### „დინამო“ (ბათუმი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) 0:1

მიმდინარეობდა მატჩის მე-6 წუთი, როცა დინამოელთა მცველებმა უხეში შეცდომა დაუშვეს, რითაც კარგად ისარგებლა სტუდენტთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა არუთინიანმა და გახსნა ანგარიში. მარცხი, შესაძლოა, მოულოდნელი იყო, მაგრამ მის გამოსასწორებლად მასპინძლებს დრო საკმაო ჰქონდათ. მათ არც დაუკლიათ ცდა, ერევნელთა კართან შეტევა შეტევას ცვლიდა, ბეჟანიძეს, თ. ესეზუას, კაკალაძეს და სხვებს არაერთხელ მიეცათ მეტოქის კარის აღების შესაძლებლობა, მაგრამ მათი გადამწყვეტი დარტყმები ან არაზუსტი იყო, ან თავდამსხმელები ჩქარობდნენ, ნერვიულობდნენ.

შესვენების შემდეგ ბათუმელთა იერიშებს დროდადრო შტურმის ხასიათი ჰქონდა, ქულის ხსნა შეიძლებოდა, მაგრამ გუნდმა ვერც ერთი მომენტი ვერ გამოიყენა და საკუთარ მინდორზე მარცხი იწვნია.

**ო. მურვანიძე.**

### „შაბათის სპორტლოტოს“ შედეგები

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „შაბათის სპორტლოტოს“ მორიგი, მე-19 ტირაჟებისა, რომლებიც 7 მაისს მოსკოვში მოეწყო.

**პირველი:** ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 5000 მანეთია (5 ბარათი), ოთხისთვის — 183 (1156), სამისთვის — 6 (35983).

**მეორე:** ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 2111 მანეთია (44 ბარათი), ოთხისთვის — 55 (2905), სამისთვის — 4 (50014).

მოგებული თანხა გაიცემა 18 მაისიდან 18 ივნისის ჩათვლით.

### მორიგი ტირაჟი

**მოსკოვი, 11 მაისი.** დღეს აქ მოეწყო „სპორტლოტოს“ და „სპორტლოტო-2“-ის მორიგი, მე-19 ტირაჟი.

აი, იღბლიანი ციფრები და სახეობები:

„სპორტლოტო“: 2 (ავტოსპორტი), 7 (ბიატლონი), 19 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 26 (მოტობურთი), 28 (მაგიდის ჩოგბურთი), 47 (ბურთიანი ჰოკეი).

**„სპორტლოტო-2“:** 7 (ბიატლონი), 15 (წყალბურთი), 17 (მხატვრული ტანვარჯიში), 23 (მძლეოსნობა), 24 (სათხილამურო სპორტი), 26 (მოტობურთი).

საერთაშორისო ოსტატი
მ. ჩიბურდანიძე
საერთაშორისო ოსტატი
ნ. ალექსანდრ

### ქალთა შორის მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩები

## მერვე პარტია

### ალექსანდრია — ჩიბურდანიძე

ლაზიერის პაიკის დებიუტი

1. d4 მf6 2. მc3 d5 3. მf3 g6 4. კf4 კg7 5. ლd2 0—0 6. კh6 მe4 7. მ:e4 de 8. კ:g7 მფg:7 9. მg5 ლd5 10. h4 h6 11. მh3 e5 12. e3 ეd8 13. c4 ლd6 14. 0—0—0 მc6 15. d5 მe7 16. f3 ef 17. gf b5 18. მf2 ლa6 19. ლc3 f6 20. a3 bc 21. კ:c4 ლb6 22. ეhe1 კb7 23. f4 კ:d5 24. fe კ:c4 25. მg4 მg8 26. ef+ მ:f6 27. მ:f6 ლ:f6 28. ლ:c4 ლe5 29. ეd3 ეab8 30. ეe2 ე:d3 31. ლ:d3 ეf8 32. მფc2 ეf6 33. ლd4 ეc6+ 34. მფb1 ლ:d4 35. ed მფf6 36. ეf2+ მფe6 37. ეf4 g5 38. hg hg 39. ეf8 ეd6 40. ეc8 ეd7 41. მფc2 (პარტია გადაიდო).

ცნობილი სადებიუტო სვლების შემდეგ ალექსანდრიამ თამაშის ორიგინალური გზა აირჩია. მეექვსე სვლაზე მან 24 წუთი იფიქრა, მეათეზე — 23. სიმწვავეს სხვადასხვა მხარეს გაკეთებულმა როქმაც შეუწყო ხელი.

ჩიბურდანიძემ რამდენჯერმე დაკარგა ტემპი და ალექსანდრიამ იერიში წამოიწყო. პოზიცია ძალზე გართულდა. 23-ე სვლაზე ნორჩმა მოჭადრაკემ გაბედულად მიიღო გამოწვევა, როცა მეტოქის ცენტრალური პაიკი აიყვანა. შავებისთვის ერთობ არასასიამოვნო გამოდგა თეთრი მხედრის g4-ზე მოსვლა.

პრეს-ცენტრში შეიქმნა აზრი, რომ პარტია მწვავედ გაგრძელდებოდა. მაგრამ ჩიბურდანიძემ 25-ე სვლით განმუხტა მდგომარეობა და, შეიძლება ითქვას, უფრო სასიამოვნო პოზიციაც მიიღო.

ალექსანდრია ფრთხილად უნდა ყოფილიყო, რომ ეტლების უარეს დაბოლოებაში არ აღმოჩენილიყო. მაგრამ შავი ფიგურების აქტივობა რომ განეელებინა, თავად ისურვა ეტლების ენდშპილში გადასვლა. სწორედ ამ მომენტში (34-ე სვლა) მეფით არასწორად ითამაშა და ჩიბურდანიძემ შეძლო მოშორებული გამსვლელი პაიკის შექმნა.

41-ე სვლაზე პარტია გადაიდო.

**თ. გიორგაძე.**

### [illegible]...

თამაშის განუახლებლად მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. საქმე ისაა, რომ ჩიბურდანიძის ჩაწერილი სვლის — 41 ... ეg7-ის შემდეგ, როგორც საშინაო ანალიზმა აჩვენა, შავებს მოგების შანსი აღარა აქვთ.

ამრიგად, მატჩის ანგარიშია 4:4. სათამაშო დარჩა ორი პარტია. IX პარტია შედგება დღეს, 12 მაისს. თეთრებით ითამაშებს ჩიბურდანიძე.

■ ■ ■

**სურათზე:** პარტია გადაიდო, შუაში — მატჩის მთავარი მსაჯი, საერთაშორისო არბიტრი თ. სტრანდსტრემი (მოსკოვი).

ა. კოტორაშვილის ფოტო.

●

### გამარჯვებამდე ერთი ნაბიჯიღაა

სოჭში გრძელდება ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩი ვ. კოზლოვსკაიასა და ე. ფატალიბეკოვას შორის, გუშინწინ შედგა მეექვსე პარტია, რითაც მატჩის მეორე ნახევარი დაიწყო.

30-ე სვლაზე შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. მატჩის ანგარიშია 4,5:1,5 ფატალიბეკოვას სასარგებლოდ.

## ჭადრაკი

### ტაშით დააჯილდოვეს

ლას-პალმასში (ესპანეთი) გრძელდება ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ დიდოსტატები კარპოვი, ტალი (ორივე — სსრ კავშირი), მაილსი (ინგლისი), ტიმანი (ჰოლანდია), ადორიანი (უნგრეთი), ლარსენი (დანია), ბრაუნი (აშშ), პომარი (ესპანეთი), საერთაშორისო ოსტატები ერნანდესი (კუბა), ტატაი (იტალია), ოსტატები დებარნო (არგენტინა), გარსია, მარტინი, ბელონი, კაბრერა და გიზიერი (ყველა — ესპანეთი).

II ტურში კარპოვმა მოუგო ბრაუნს და კარგი თამაშით მაყურებელთა ტაში დაიმსახურა. ტალი დაუზავდა ტიმანს. III ტურში მსოფლიო ჩემპიონმა კვლავ გაიმარჯვა, ამჯერად — დებარნოსთან. ტალი ყაიმზე შეუთანხმდა ადორიანს.

3 ტურის შემდეგ კარპოვსა და ლარსენს 3-3 ქულა აქვთ. ლარსენმა სძლია კაბრერას, ტატაისა და გიზიერს.

## ორი ლიდერი

ქუთაისი, 11 მაისი (ტელეფონით). საქართველოს ვაჟთა პირველობის III ტურში ი. სიფრაშვილმა (სიღნაღი) მოუგო თ. ხანთაძეს, რ. კაპანაძემ (ორივე — თბილისი) — ბ. ხეცურიანს, გ. გიორგაძემ (ორივე — ქუთაისი) — გ. ტყებუჩავას (ცხაკაია). ყაიმზე შეთანხმდნენ დ. გედევანიშვილი (თბილისი) — გ. თორია (ზუგდიდი). ოთხი პარტია გადაიდო.

3 ტურის შემდეგ დ. გედევანიშვილსა და ი. სიფრაშვილს 2,5-2,5 ქულა აქვთ.

**ლ. ფაჩუაშვილი.**
(ჩვენი კორ.).

## სარბიელზე—სტუდენტები

**დამთავრდა** თბილისის უნივერსიტეტის IX სპორტული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ფეხბურთში. სარბიელზე გამოვიდა 18 ფაკულტეტის 290 სტუდენტი.

წარმატებით იასპარეზეს საინჟინრო-ეკონომიური და სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტების გუნდებმა. მომავალმა ინჟინერ-ეკონომისტებმა დაამარცხეს კიბერნეტიკის (5:3), მექანიკა-მათემატიკისა (6:5) და გეოგრაფია-ბიოლოგიის (2:1) ფაკულტეტების წარმომადგენლები. სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის ფეხბურთელებმა ფინალისკენ მიმავალ გზაზე ფარ-ხმალი დააყრევინეს გამოყენებითი მათემატიკის (2:1), ფილოლოგიის (2:0), ვაჭრობისა და საქონელმცოდნეობის (5:4) ფაკულტეტების გუნდებს.

ფინალურ შეხვედრაში იმარჯვეს სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტის ფეხბურთელებმა (3:0) და უნივერსიტეტის ჩემპიონობაც დაისაკუთრეს.

**ვ. ბაქაძე.**

მსოფლიო პირველობა

ფეხბურთი

# დარჩა მხოლოდ თეორიული შანსი

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს სალონიკში საბერძნეთისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის მოუთმენლად და დიდი იმედით მოელოდნენ ფეხბურთის მოყვარულები. IX ჯგუფში შექმნილი სატურნირო კონიუნქტურა საბჭოთა ნაკრების წინაშე სახავდა რთულ, კონკრეტულ ამოცანას: საჭირო იყო მხოლოდ გამარჯვება, რათა შემდგომი მატჩისთვის თბილისში უნგრეთის ნაკრებთან შექმნილიყო ჯგუფში I ადგილის დაკავების რეალური შესაძლებლობა. ქულის დაკარგვაც კი, ე. ი. ფრე, საეჭვოდ ხდიდა საქმეს.

მაგრამ 10 მაისის მატჩის შედეგმა ის ერთი ქულაც მიუწვდომელი გახადა და მასთან ერთად საქმიანი, რეალისტური პროგნოზებიდან გადაგვიყვანა თეორიულ სფეროში, სადაც გარკვეული გამოთვლებია საჭირო.

ის, რომ ბერძნები თავიანთ სტადიონზე არ დათმობდნენ არაფერს, ცხადი იყო ყველასთვის, მათ შორის ჩვენი გუნდის ფეხბურთელებისა და მწვრთნელებისთვის, მაგრამ სინამდვილემ, უდავოდ, გადააჭარბა მოლოდინს. ბერძნებმა ითამაშეს უმაგალითო თავგანწირვით და ენერგიით, რაც კი შეეძლოთ ყველაფერი გააკეთეს წარმატებისთვის და აიღეს კიდეც მოსკოვში განცდილი დამარცხების რევანში. შეუპოვრად იბრძოდნენ ჩვენი ფეხბურთელებიც, მაგრამ მხოლოდ ბრძოლისუნარიანობა ვერაფერს გახდა, ვინაიდან სათანადო დონის კლასი გუნდმა ვერ გამოავლინა, შეტევები და გადამწყვეტი დარტყმები ერთობ სუსტი იყო, არ გარგოდა თამაშის ორგანიზაციაც.

მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც საბერძნეთის ნაკრების გამოცდილმა ცენტრფორვარდმა პაპაიოანუმ გაიტანა თავით მეორე ტაიმში საჯარიმო მიწოდების შემდეგ.

საბჭოთა ნაკრებმა სალონიკში ასეთი შემადგენლობით ითამაშა: დეგტიარიოვი, კონკოვი, მატვიენკო, ხინჩაგაშვილი, ბაიშაკოვი, ტროშკინი, ბურიაკი (მაქსიმენკოვი), ონიშჩენკო, მინაევი (ფიოდოროვი), ყიფიანი, ბლოხინი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ნაკრებმა პირველად წააგო საბერძნეთის გუნდთან თავისი არსებობის ისტორიაში.

ევროპის IX შესარჩევ ჯგუფში ახლა ასეთი მდგომარეობაა:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნგრეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3—2 | 3 |
| საბერძნეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 2—3 | 3 |
| სსრ კავშირი | 3 | 1 | 0 | 2 | 3—3 | 2 |

სათამაშო დარჩა სულ 2 მატჩი: 18 მაისს სსრ კავშირი — უნგრეთი და 25 მაისს უნგრეთი — საბერძნეთი.

ჩვენს გუნდს ახლა მხოლოდ წმინდა თეორიული შანსი დარჩა დაიკავოს I ადგილი ჯგუფში და მიიღოს სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთ გუნდთან თამაშის უფლება. საამისოდ საჭიროა უნგრელებთან გამარჯვება ნებისმიერი ანგარიშით, ხოლო უნგრეთისა და საბერძნეთის გუნდებმა ერთმანეთთან ფრედ უნდა ითამაშონ. თუ ბუდაპეშტში ერთ-ერთმა მათგანმა გაიმარჯვა, ბრძოლასაც იგი განაგრძობს.

---

## ი. სულიაშვილი

ვისაც საქართველოს მთა-ბარი ფეხდაფეხ მოუვლია — ამ ოთხი ათეული წლის მანძილზე ტურისტული ბილიკები დაუკვალავს, არ შეიძლება გზად არ შეხვედროდა ამ ტანმორჩილ, კეთილი სახის კაცს. 61 გაზაფხულს მოესწრო ირაკლი იოსების ძე სულიაშვილი. კიდევ ფიქრობდა მიმოევლო სათაყვანო მამულის მთაგორები, მაგრამ გულმა უღალატა. მოულოდნელი და მძიმე იყო მისი სიკვდილი ასე ადრე, როცა ჯერ კიდევ ბევრი სიკეთის გაკეთება შეეძლო.

კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქის სკოლის დამთავრების შემდეგ ირაკლი სულიაშვილმა თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმში განაგრძო სწავლა. მაგრამ მისი მოწოდება ხომ ფიზკულტურა და სპორტი იყო და ამიტომ შემდეგ, 1939 წელს, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტიც დაამთავრა. იმავე წელს იგი საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტში იწყებს მასწავლებლობას. 1940-42 წლებში მომავალ ქიმიებთან მუშაობს, 1942-დან კი დიდი სამამულო ომის ფრონტებზე იბრძვის. დემობილიზების შემდეგ თბილისის სტომატოლოგიურ ინსტიტუტში მუშაობს. 1950 წლიდან საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში სათხილამურო სპორტის ანბანს ასწავლის ახალგაზრდობას.

განსაკუთრებული ღვაწლი დასდო სულიაშვილმა თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენების სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზკულტურისა და სპორტის დანერგვას. აქ იგი მრავალი წლის მანძილზე განაგებდა ფიზკულტურისა და სპორტის კათედრას.

1966 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე თბილისის უნივერსიტეტში ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის უფროს მასწავლებლად მუშაობდა.

ქართული სპორტის ამაგდარის, შესანიშნავი ადამიანის ირაკლი სულიაშვილის ნათელი სახე დიდხანს არ დაავიწყდებათ მეგობრებს, ახლობლებსა და მოწაფეებს.

**საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი.**

---

ჰოკეი

# პრესის კომენტარები

ოტავა, 10 მაისი. „ჩვენმა სპორტსმენებმა მედლები ხელიდან გაუშვეს, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონები დაამარცხეს“, — წერს კანადის „გაზეტი“, რომელიც აჯამებს ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატის შედეგებს. „საბოლოო ჯამში კანადელებმა კარგად ითამაშეს, — აღნიშნავს გაზეთი, — მაგრამ წარმატებაში გუნდს ხელი შეუშალა პროფესიონალებისთვის დამახასიათებელმა უხეშობამ და საჯარიმოებმა. პირველ ყოვლისა, ამის გამო წააგეს მათ შვედებთან და საბჭოთა ნაკრებთან. მათგან ბევრი მძიმედ დაშავდა, მაგრამ ეს მხოლოდ ექიმებმა იცოდნენ. მიუხედავად ტრავმებისა, ისინი მაინც თამაშობდნენ, არც ჩიოდნენ, არც წუწუნებდნენ. პრესის ცნობით, ჯ. იგლსონი კმაყოფილია თავისი გუნდის თამაშით. „კანადელები საბჭოთა ჰოკეისტებსაც მოუგებდნენ და შვედებსაც, მეტი თავშეკავება რომ გამოეჩინათ და ნაკლები საჯარიმო მიეღოთ“, — ამბობს იგი. პრესას მოჰყავს ფ. ესპოზიტოს სიტყვებიც: „ჩვენ დავამტკიცეთ, რომ შეგვიძლია ჩვენი სტილით ვითამაშოთ და მაინც გავიმარჯვოთ“.

ნიუ-იორკი, 10 მაისი. ამერიკის გაზეთები გაოცებას გამოთქვამენ ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატის შედეგების გამო. „კანადის ნაკრებმა, — წერს ნიუ-იორკის გაზეთი „ნიუსდეი“, — გამანადგურებელი ანგარიშით (8:2) დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტები და საერთოდაც საუცხოო შთაბეჭდილება მოახდინა, თუმცა ჰოკეის ეროვნული ლიგის ბევრი ვარსკვლავი ამჯერად გუნდში არ იყო. მიუხედავად ამისა, ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა, კანადელები კი IV ადგილზე გავიდნენ“.

„კანადელებთან მატჩში ჩეხოსლოვაკიელი ჰოკეისტები ისე ფრთხილად თამაშობდნენ, გეგონებოდათ, ბანდიტებით სავსე ქუჩებში დადიანო“, — წერს „ნიუ-იორკ ტაიმსი“.

ბონი, 10 მაისი. „ვენის მსოფლიო ჩემპიონატი დამთავრდა დრამით, რომლის მსგავსიც ჰოკეის ისტორიას არ ახსოვს“, — წერს „ნოიე რურ-ცაიტუნგი“. — შვედებმა დაამარცხეს მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონები. ამ მოგებით მათ I ადგილზე გაიყვანეს ჩეხოსლოვაკიის გუნდი, თავად კი ვერცხლის მედლები მოიპოვეს“.

ვენა, 10 მაისი. ავსტრიის გაზეთი აღნიშნავს, რომ ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატი სენსაციით დამთავრდა: საბჭოთა ნაკრებმა, რომელიც ფაქტიურად უკვე მსოფლიო ჩემპიონი იყო, შვედებთან ხელიდან გაუშვა მისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი გამარჯვება. გაზეთი „ნოიე კრონენ-ცაიტუნგი“ აღნიშნავს, რომ ჩემპიონატის ბოლო მატჩმა კიდევ უფრო ნათლად გამოავლინა საბჭოთა გუნდის სუსტი მხარეები, პირველ ყოვლისა — გადაჭარბებული ნერვიულობა. „საბჭოთა მცველებმა ვერ შეძლეს შვედებთან შუა ზონაში ბრძოლა. ჰეგიუსტა არა მარტო ბრწყინვალედ იცავდა კარს, არამედ, შეიძლება ითქვას, პირდაპირ სისხლს უშრობდა საბჭოთა გუნდის თავდამსხმელებს. საწყენია, რომ თვით ბრწყინვალე ბომბარდირმა იაკუშევმაც კი რამდენჯერმე ღია კარს ააცდინა შაიბა“.

[illegible]

---

ავტოსერფინგი — ასე შეიძლება ეწოდოს სპორტის ახალ სახეობას, რომელიც ჰოლანდიაში დაინერგა. დაფაზე დამაგრებულია მოტორი. სპორტსმენი სერფინგს მართავს სხეულის მოძრაობით და ბერკეტის დახმარებით.

სურათზე: ავტოსერფინგის დემონსტრაცია ამსტერდამის ერთ-ერთ არხზე. საკდესის ფოტო.

---

# სიყალბე და ანგარება

სამხრეთ აფრიკის რასისტულ რეჟიმს მთელი პროგრესული საზოგადოებრიობა გმობს. რაოდენ პარადოქსულადაც უნდა მოგვეჩვენოს, დღეს ამ რეჟიმისთვის ყველაზე მტკივნეული საკითხი საერთაშორისო სპორტია. სამხრეთ აფრიკა გარიცხა ოლიმპიური ოჯახიდან და ბევრი საერთაშორისო ფედერაციიდან. თუ გავითვალისწინებთ ოლიმპიური მოძრაობის როლის უწყვეტ ზრდას თანამედროვე სამყაროში, საერთაშორისო სპორტის დიდ ზეგავლენას და ადგილს სოციალურ ცხოვრებაში, ეს ფაქტი მკაცრი განაჩენია სამარცხვინო ბოძზე გაკრული აპარტეიდის მთელი სისტემისთვის.

ამავე დროს, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სპორტი სამხრეთ აფრიკის საზოგადოების სხვადასხვა ფენაში საკმაოდ ფართოდაა განვითარებული (რასაკვირველია, სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისთვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც და სხვა შესაძლებლობებიც სრულიად განსხვავებულია). ამიტომ ბრძოლა სპორტში თანასწორობისთვის რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ გაშლილი საერთო მოძრაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

ამას ბოლოდროინდელი ამბებიც მოწმობს. აშკარაა, რომ რასისტი მმართველები ცდილობენ სპორტი ერთგვარ შუამავლად აქციონ, რათა მძლავრი საპროტესტო ტალღა ამით მაინც როგორმე შეანელონ.

ამას წინათ ფრანს პრესის სააგენტო იოჰანესბურგიდან იუწყებოდა: „იქმნება შთაბეჭდილება, რომ სამხრეთ აფრიკის სპორტი სულ უფრო მეტად განიცდის საერთაშორისო წრეების გავლენას, რომლებიც აპარტეიდის პოლიტიკის შეცვლას მოითხოვენ. საერთაშორისო ფედერაციებიდან გარიცხული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა და მისი ხელისუფლება ახლა უხალისოდ მიდიან იმგვარ დათმობაზე, რაზეც უწინ ცივ უარზე იყვნენ. როგორც ცნობილია, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში სპორტის ყოველ სახეობაში ოთხი ხელმძღვანელი ორგანოა — თეთრკანიანებისთვის, შავკანიანებისთვის, ინდიელებისა და მულატებისთვის. ახლა ხელისუფლება ცდილობს მოაგვაროს სპორტში ურთიერთობა და შექმნას პირობები საერთაშორისო სარბიელზე დასაბრუნებლად“.

ასე წარმოიშვა „საეროვნებათაშორისო შეხვედრები“. გაზეთების ფურცლებზე აღბეჭდილი იყო ფეხბურთის მინდორზე თუ რინგზე „თეთრებისა და შავების“ ორთაბრძოლის მომენტები. სულ ახლახან კიდევ ერთი სენსაცია მოხდა: ფართოდ გაიღო „ჯუიშ გილდი ქანთრი კლაბის“ — მხოლოდ თეთრკანიანებისთვის განკუთვნილი სპორტული კლუბის კარი. როგორც საფრანგეთის პრესა იუწყება, კლუბის პრეზიდენტმა ლაიონელ სტარკოვიჩმა განაცხადა, რომ „ჯუიშ გილდი ქანთრი კლაბი“ მზადაა კარი გაუღოს ყველა მსურველს, მიუხედავად რასისა და ეროვნებისა, ოღონდ ყველამ უნდა შეიტანოს საწევრო გადასახადი და მოიქცეს „გარკვეული სტანდარტების შესაბამისად“. პრეზიდენტს არ განუმარტავს, რას ნიშნავს სიტყვა „სტანდარტი“ ამ შემთხვევაში. სამაგიეროდ, ნათელია სხვა რამ: ეს „დახურული დაწესებულება“ მხოლოდ მდიდრებისთვისაა ხელმისაწვდომი. ამავე დროს, ცნობილია ისიც, რომ „შავებსა და სხვა ფერადკანიანებს“ თეთრკანიანებზე ორჯერ და სამჯერ ნაკლებ გასამრჯელოს უხდიან. ასე რომ, კლუბის ღია კარის წინ საკმაოდ ძნელად გადასალახავი ზღუდეა აღმართული.

მოხდა კიდევ ერთი სენსაცია. ამჯერად საოცარი გადაწყვეტილება მიიღო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ეროვნულმა კომიტეტმა, რომელსაც მთლიანად თეთრკანიანები უწევენ კონტროლს. საქმე ის არის, რომ ამიერიდან სამხრეთ აფრიკის თეთრკანიანი სპორტსმენებისა და თვით სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სიმბოლო — „სპრინგბოკი“ („მონავარდე ქურციკი“) შავკანიან ათლეტთა მაისურებსაც დაამშვენებს. წინათ ხომ ასეთი რამ წარმოუდგენელი იყო.

მთავარი კი ისაა, რომ ყოველივე ზემოთქმული მხოლოდ პროპაგანდისტული სატყუარაა. გაზეთი „მორნინგ სტარი“ ამასთან დაკავშირებით წერს: „რას იტყვით, როგორი ფანდია? მერე რა, რომ შავკანიანებს მხოლოდ მათთვის განკუთვნილ ტუალეტებსა და საშხაპეებში უშვებენ, რომ გარდერობიც ცალკე აქვთ გამოყოფილი, რომ ტრიბუნებზე მათი და თეთრკანიანი მაყურებლების ადგილები ერთმანეთისგან განცალკევებულია. რასაკვირველია, ამგვარი საპარადო სპექტაკლები მხოლოდ იძულებითი უკანდახევაა. არსი კი უცვლელი რჩება“.

ინგლისელი ჟურნალისტი ფილიპ კოენი ამგვარ ცრუ დაპირებათა და თვალის ახვევის პოლიტიკას, რომელსაც პრეტორიის ადმინისტრაცია და სპორტის საქმეთა მინისტრი პიტერ კოორნჰოფი მიმართავენ, „ბაჭიის ცხვირწინ დაკიდებული სტაფილოს პოლიტიკას“ უწოდებს. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სამხრეთ აფრიკაში „მთავრობის მიერ გაწვდილმა ამ სატყუარამ [illegible] უნდა მოხიბლოს“.

უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ რასისტთა ამგვარი მანევრების დროს სოუეტოში და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სხვა დიდი ქალაქების გარეუბნებში არ წყდებოდა კანონადის ხმა, როცა მხეცურად უსწორდებოდნენ სტუდენტთა, მოსწავლეთა, მუშათა მშვიდობიან დემონსტრაციებს. აი, რატომ არის, რომ საერთაშორისო სარბიელზე კვლავაც უნდა გაგრძელდეს აპარტეიდის ბოიკოტისა და რასისტული რეჟიმის იზოლაციის პოლიტიკა. ახლახან სწორედ ეს აღნიშნა ტანზანიის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა რაფაელ კუბაგამ. მან თქვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციათა შესაბამისად ყველა ეროვნების წარმომადგენლებმა ყოველგვარი კონტაქტი უნდა გაწყვიტონ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან სპორტის სფეროში, რომელსაც რასობრივი დისკრიმინაციის მქადაგებელნი აშკარად პოლიტიკური მიზნებით იყენებენ.

ცნობილია ისიც, რომ რასისტული პრინციპის მიხედვით ორგანიზებული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სპორტული ინსტანციები პრემიერ ფორსტერის ნება-სურვილის მიხედვით მოქმედებენ. მან კი ამ დღეებში განაცხადა, რომ „სარასათაშორისო პარლამენტის“ შექმნაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მანამდე კი ფორსტერმა და მისმა მთავრობამ კატეგორიულად უარყვეს სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციათა მოთხოვნა სამხრეთ აფრიკის ყველა რასისთვის სპორტული ხელმძღვანელობის ერთიანი სისტემის შექმნის შესახებ დეპარტამენტის სახით.

ყოველივე ზემოთქმული კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ რასისტთა მანევრებს სპორტის ჩფეროში საფუძვლად სიყალბე და ანგარება უძევს.

(საკდესი).

**რედაქტორი ა. ბასილაია.**

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონი ცნობებისთვის 93-97-57.

77 ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 07700